”თბილისელები ერთბაშად არ აღზევებულან”

ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის შემდეგ, 20 მაისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთმა ”დოიჩეს შპორტეხომ” დაბეჭდა თავისი კორესპონდენტის რ. ნაჰტიგალის სტატია ამ სათაურით. ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება ”ლელოს” მკითხველთათვისაც.

”ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ თბილისის დინამოელები მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო გუნდების რიცხვში შევიდნენ.

ზოგჯერ ახლაც შეხვდები მოსაზრებას, რომ ზოგიერთი წარმატება მეტ-ნაკლებად ბედნიერ შემთხვევას მიეწერება ხოლმე. 1978-79 წლების საფეხბურთო სეზონში თბილისის ”დინამო” ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შეხვდა ინგლისის ჩემპიონს, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ აღიარებულ სუპერკლუბს ”ლივერპულს”. ცოტანი თუ ფიქრობდნენ, რომ დინამოელები ამ ზღუდეს წარმატებით დაძლევდნენ. ინგლისელებმა პირველი მატჩი შინ მოიგეს ანგარიშით 2:1, მაგრამ განმეორებით შეხვედრაში თბილისელებმა გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე - 3:0 და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ.

მიუხედავად ასეთი ბრწყინვალე შედეგისა, თბილისის ”დინამოს” იმ ხანებში მაინც არ შეეძლო დაემკვიდრებინა ადგილი ევროპის საუკეთესო კლუბებს შორის. მაგრამ ეს უკვე იმას მიგვანიშნებდა, რომ დინამოელთა მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად გუნდი საკმაოდ მომძლავრდა და შეძლო ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია ნებისმიერი ექსტრა-კლასის მეტოქისთვის.

- ყველაზე უფრო მეტად, რაც ჩვენ გვაკლდა ხანგრძლივი დროის მანძილზე, ეს იყო სტაბილური თამაში - იხსენებს დინამოელთა მწვრთნელი. - ამას გარდა, გვაკლდა ფიზიკური მომზადებაც, ურომლისოდაც თანამედროვე ფეხბურთში წარმოუდგენელია რაიმე წარმატებაზე ფიქრი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში თბილისის ”დინამო” მე-4 ადგილზე დაბლა არ ჩამოქვეითებულა, სსრ კავშირის პირველობაზე, ნ. ახალკაცი თავისი სტრატეგიული გეგმის თვალთახედვიდან არ უშვებდა იმას, რომ შეექმნა ისეთივე ბრწყინვალე გუნდი, როგორიც კიევის ”დინამო” იყო 70-იან წლებში. მან კარგად იცის, რომ თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს სისწრაფე, მაღალი ტემპი, ამიტომ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათ მის გუნდს ეთამაშა ტემპიანად, სწრაფად, არ დაეყოვნებინა ბურთი მაშინ, როცა საჭიროა მაქსიმალური სისწრაფე შესთავაზო მოწინააღმდეგეს.

ვინც ჩახედულია ამ საკითხში და ერკვევა ფეხბურთში, თვალნათლივ ხედავს, რომ თბილისის ”დინამო” თავისი განვიარების სწორ, რაციონალურ გზაზე დგას.

ყიფიანი გუნდის ”ტვინია”

პორტუგალიის სპორტულ გაზეთ ”ა ბოლას” მთვარი რედაქტორი ვ. სანტოსი უარყოფდა სპეციალისტთა აზრს, რომ ლისაბონის ”ბენფიკა” კვლავ ევროპის უძლიერესი საკლუბო გუნდია. თავისი შეხედულების არგუმენტად მას ის მიაჩნია, რომ ”ბენფიკას” აკლია ვარსკვლავები. თბილისის ”დინამო” თავის განუმეორებელ მატჩებს,

ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, თამაშობს ფეხბურთის ნამდვილი დიდოსტატის დავით ყიფიანის შემწეობით, რომელსაც ნ. ახალკაცმა გუნდის "აზრი და ტვინი" უწოდა. ასეთია დ. ყიფიანი არა მარტო მინდორზე, არამედ მის გარეთაც, ცხოვრებაში. პროფესიით იგი იურისტია, შესანიშნავად ფლობს ინგლისურ ენას, ჟურნალისტებს აუღელვებლად აძლევს ინტერვიუს, მიმზიდველი და გულღია ადამიანია.

- იგი ჩვენს ფეხბურთში კონკურენციის გარეშეა. - აღნიშნავს გაზეთ "სოვეტსკი სპორტის" სპეციალური კორესპონდენტი ვ. პონედელნიკი. - თამაშობს ისე, როგორც შეესაბამება ფანტაზიით მდიდარ, შემტევ ქართულ სტილს.

აპლოდისმენტები, ქება და აღიარება დაიმსახურა დ. ყიფიანმა დიუსელდორფშიც. 30 წლის ქართველი ფეხბურთელი ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოთამაშეა ევროპაში.

სოლისტებისგან შემდგარი ანსამბლი

"კარლ ცაისის" მწვრთნელი ჰ. მაიერი ფინალისთვის თავისი გუნდის უკეთ მომზადების მიზნით თბილისში დაესწრო "დინამოსა" და დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" მატჩს, რომელიც დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 4:0. თამაშის შემდეგ მან განაცხადა:

- ყველა დინამოელი სოლისტია, რომელთა ინტერესები მთლიანად ექვემდებარება კოლექტივის ინტერესებს.

ფინალურმა მატჩმა მწვრთნელის ეს მოსაზრება მთლიანად დაადასტურა.

გუნდმა რომ უმაღლეს დონეს მიაღწიოს და დიდი წარმატებები მოიპოვოს, უნდა რამდენიმე სოლისტი ჰყვადეს. თბილისის "დინამოს" კი ასეთი სოლისტები ჰყავს. ასეთებია ყიფიანი, გუცაევი, შენგელია, სულაქველიძე, ჩივაძე და სხვანი.

ცვალებადი ტაქტიკით

თბილისის "დინამო" ტაქტიკური თვალსაზრისით ძალზე ძნელად ამოსახსნელი გუნდია. დიუსელდორფის "რაინშტადიონზე" დინამოელებმა თავიანთი მრავალფეროვანი ტაქტიკიდან გამოიყენეს ორი. პირველი - როცა იენელთა პრესინგს ეფექტური კონტრთამაშით უპასუხეს, ხოლო შემდეგ, მოგვიანებით, როცა ალღო აუღეს მეტოქის ტაქტიკას და სხვა გზა მოძებნეს წარმატებისთვის. გუნდმა უარი თქვა "მდორე" თამაშზე, შესამჩნევად მოუმატა ტემპს და თამამად წავიდა გამწვავებაზე. ეს საბოლოოდ გამოიხატა შენგელიასა და დარასელიას სოლურ გარღვევებში.

მაშ ასე: ბრატისლავას "სლოვანის", გდრ-ის "მაგდებურგისა" და კიევის "დინამოს" შემდეგ თბილისის "დინამო" მეოთხე გუნდია სოციალისტური ქვეყნებიდან, რომელმაც მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, ამ გამარჯვების შემდეგ თბილისის "დინამო" ევროპის საუკეთესო საფეხბურთო კლუბების რიცხვში შევიდა".

გერმანულიდან თარგმნა ბ. ღამბაშიძემ.

"ლელო", 3 ივნისი, 1981 წ.